

# რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მოკლევადიან პერსპექტივაში

WEG 2022



USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა  
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM



World Experience for Georgia

**რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს  
ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მოკლევადიან  
პერსპექტივაში**

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG)  
თბილისი 2022

## ავტორები:

მურმან მარგველაშვილი  
გიორგი მუხიგულიშვილი  
თუთანა კვარაცხელია  
მაკა ფარცვანია

კონტრიბუტორები: ირაკლი ურგებაშვილი

დიზაინი: თამარ ბალარჯიშვილი

© 2022 WEG

ანგარიში მომზადებულია „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ (WEG) მიერ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა  
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE



World Experience for Georgia

# შინაარსი

მოკლე შეჯამება .....	1
შესავალი .....	3
რუსულ იმპორტზე დამოკიდებულება .....	4
ელექტროენერგია .....	4
ბუნებრივი გაზი .....	7
ნავთობპროდუქტები .....	9
ენგურჰესის და აფხაზეთის ენერგომომარაგების საკითხი .....	11
რუსული კაპიტალი საქართველოს ენერგეტიკაში და სანქციების ზეგავლენა .....	13
ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით და მისი გავლენა საქართველოს ენერგომომარაგებაზე .....	15
ბიბლიოგრაფია .....	17

# მოკლე შეჯამება

რუსეთის შეჭრა უკრაინაში ახალ გეოპოლიტიკურ გარემოებებს აყალიბებს. ომის შედეგები პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს მომავალ განვითარებასთან. წინამდებარე პუბლიკაცია მიმოიხილავს მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით არსებულ მთავარ გამოწვევებს და ცდილობს, პასუხები გასცეს საზოგადოებაში დაგროვებულ კითხვებს შემდეგი მიმართულებებით:

- ▶ რუსულ იმპორტზე დამოკიდებულება ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობის კუთხით;
- ▶ ენერჯიკის და აფხაზეთის ენერგომომარაგების საკითხები;
- ▶ რუსული კაპიტალი საქართველოს ენერგეტიკაში და სანქციების ზეგავლენა;
- ▶ ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით და მისი გავლენა საქართველოს ენერგომომარაგებაზე.

კვლევის მიხედვით **მოკლევადიან პერსპექტივაში ხუსეთს ენერჯეტიკის კუთხით საქართველოს წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ზეწოლის ბეჩკეტი ახ აქვს. ეს ეხება როგორც ენერჯის მინოდების შეწყვეტას, ისე მინოდების შეწყვეტის მუქარას და მის გამოყენებას პოლიტიკური შანტაჟისთვის.**

რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი მცირეა და ბოლო წლების განმავლობაში ელექტროენერჯის მოხმარების 4%-ს არ აღემატება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ელექტროენერჯის მოხმარების უდიდეს წილს (92% 2021 წელს) ადგილობრივად წარმოებული ელექტროენერჯით იკმაყოფილებს და ამასთან, სხვა მებობელ სახელმწიფოებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) გააჩნია ტრანსსასაზღვრო კავშირები, რუსეთზე იმპორტდამოკიდებულება არ არის მაღალი რისკის შემცველი. მოხმარების ზრდის პირობებში, მსგავსი სურათის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია გენერაციის ადგილობრივი წყაროების განვითარება.

ბუნებრივი გაზის წილი 2019 წლამდე 8%-ს არ აღემატებოდა. თუმცა საყოფაცხოვრებო სექტორში (ისევე როგორც კომერციულ სექტორში) მკვეთრად იზრდება ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის მოხმარება (მოხმარებული ელექტროენერჯის ნაწილს კი თბოსადგურები გამოიმუშავებენ იმპორტირებული გაზით), რის გამოც, ბოლო წლებში, რუსეთიდან ბუნებრივი გაზის იმპორტის ზრდა შეინიშნება (2021 წელს 14-15 % იმპორტი). საქართველო გაზს ძირითადად აზერბაიჯანიდან იღებს. ამ ეტაპზე, **რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა აზერბაიჯანიდან მოწოდებულ ბუნებრივ გაზზე მინიმალურია.** აზერბაიჯანი, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში გაზომომარაგებას.

საქართველოში ნავთობპროდუქტების 27.1% რუსეთიდან შემოდის (2020წ). იმპორტის შეფერხების შემთხვევაში, დეფიციტის დაბალანსება სხვა ქვეყნების ხარჯზე არის შესაძლებელი.

**რუსული ენერგეტიკული რესურსების იმპორტის ზრდის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს საკუთარი გაზსაცავი და ნავთობგადამამუშავებელი საწარმო სჭირდება.**

საქართველოს ენერგეტიკის სექტორში არსებული რუსული კაპიტალისა და აქტივების მიუხედავად, ენერგეტიკის სექტორი განსაკუთრებულ რეგულირებას ექვემდებარება და საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს ბერკეტი დაიცვას მოქალაქეების რუსული ბიზნესების სანქციების შესაძლო ზეგავლენისგან. **თუ ნებისმიერი ქმედება ან მდგომარეობა აღქმული იქნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ელექტროენერჯის ან გაზის წარმოების/მინოდების შეფერხება, ლიცენზიის გამცემი (სემეკი) უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შესაბამის ლიცენზირებად საწარმოში სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე.** სპეციალური მმართველი სასამართლოს მიერ აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით, უზრუნველყოს ლიცენზიით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულება.



რუსეთის უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, დააჩქაროს განახლებადი ენერჯის წყაროებზე გადასვლა, რაც „ევროპის მწვანე შეთანხმებით“ (European Green Deal) 2030 წლამდე წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებას გულისხმობდა (European Commission, 2019). ევროკავშირის ახალი გეგმით (REPower EU) (European Commission, 2022) რუსულ საწვავზე კრიტიკული დამოკიდებულება 2030 წელზე ადრე უნდა მოიხსნას. **ევროკავშირი გეგმავს, 2022 წლის ბოლომდე ორი მესამედით შეამციროს რუსულ გაზზე დამოკიდებულება.** ევროკომისია ასევე აღნიშნავს, რომ „**ევროკავშირი მზად არის დაეხმაროს უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს, უზრუნველყოფილი იყვნენ საიმედო და მდგრადი ენერჯით**“ (European Commission, 2022).

ევროკავშირში იმპორტირებული რუსული გაზის ჩანაცვლების საკითხში აზერბაიჯანის როლიც იკვეთება. თუკი აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით, ევროკავშირისთვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობები გაიზრდება, ქვეყანა შეძლებს მეტი ბუნებრივი გაზი იყიდოს შეღავათიან ფასად (გატარებული გაზის 5%).

განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა რუსეთის, როგორც ხელშეკრულების მხარის, კეთილსინდისიერება. შესაბამისად, რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებისა და შესაბამისი ვალდებულებების აღების ღიაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. **მნიშვნელოვანია, რომ ენერჯეტიკის სექტორში კომპეტენტურმა ორგანოებმა კოორდინირებული თანამშრომლობით სისტემატურად შეაფასონ არსებული და მოსალოდნელი რისკები და მოამზადონ შესაბამისი სამოქმედო გეგმები და სცენარები.**

## შესავალი

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში სრულად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგი და ევროპის უსაფრთხოება. რუსეთ-უკრაინის ომი ახალ გეოპოლიტიკურ გარემოებებს აყალიბებს როგორც ევროკავშირისთვის, ისე - კავკასიისთვის. ომის შედეგები პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს მომავალ განვითარებასთან.

მაშინ, როცა 2005 წელს პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლას „21-ე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა (The Washington Post, 2005), კიდევ ერთხელ გაცხადდა რუსეთის იმპერიალისტური მიზნები ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების მიმართ. რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის ფორმები (Chivvis, 2017), რაც „გაყინული კონფლიქტების“ შექმნის გზით ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების ხელის შეშლას, სამხედრო ინტერვენციას თუ საინფორმაციო ომსა და სხვა კომპონენტებს მოიცავს, საერთო იყო უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს შემთხვევებში.

მიმდინარე ომის პირობებში შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, რა შეიცვლება რუსეთის პოლიტიკაში მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით, თუმცა, მნიშვნელოვანია, მოკლევადიან პერსპექტივაში წამოჭრილი საკითხებისა და გამოწვევების ანალიზი, რათა შემუშავდეს დაცვის შესაბამისი მექანიზმები.

ომის პირობებში წინა პლანზეა წამოწეული ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები და, კერძოდ, ევროპის დამოკიდებულება რუსულ ენერგეტიკულ რესურსებზე. რუსულ ენერგეტიკულ რესურსებზე დამოკიდებულება ხშირად არის დანახული როგორც კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოსთვისაც, რაც შეიძლება გამოყენებულ-იქნას მოსახლეობის შეცდომაში შესაყვანად.

საქართველოში ენერჯის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება. 2000 წლიდან დღემდე ქვეყანაში ჭამური საბოლოო ენერჯის მოხმარება 90%-ით გაიზარდა. ენერჯის ყველაზე დიდი მომხმარებელი ტრადიციულად საყოფაცხოვრებო სექტორი იყო, თუმცა ბოლო წლებში ენერჯის მოხმარებაში 30%-იანი წილით ლიდერობს ტრანსპორტის სექტორი, შემდეგ მოდის საყოფაცხოვრებო სექტორი (28%), ინდუსტრია (16%) და სხვ. ელექტროენერჯის დაახლოებით 17% ოკუპირებული აფხაზეთის მიერ მოიხმარება.

საქართველოში მოხმარებული ელექტროენერჯის ნაწილი (10%), ხოლო ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების თითქმის 100% იმპორტირებულია<sup>1</sup>. ენერგეტიკული რესურსების იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან, მათ შორის, რუსეთის ფედერაციიდან, ხორციელდება. გარდა ამისა, რუსული კომპანიები თუ რუსეთის მოქალაქეები ფლობენ კაპიტალს და აქტივებს საქართველოს ენერგეტიკის სექტორში.

წინამდებარე პუბლიკაცია მიმოიხილავს რუსეთ-უკრაინის ომის გავლენას საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მოკლევადიან პერსპექტივაში და ცდილობს, პასუხები გასცეს საზოგადოებაში დაგროვებულ კითხვებს შემდეგი მიმართულებებით:

- ▶ რუსულ იმპორტზე დამოკიდებულება ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობის კუთხით;
- ▶ ენგურჰესი და აფხაზეთის რეგიონის ენერგომომარაგების საკითხები;
- ▶ რუსული კაპიტალი საქართველოს ენერგეტიკაში და სანქციების ზეგავლენა;
- ▶ ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით და მისი გავლენა საქართველოს ენერგომომარაგებაზე.

პუბლიკაციის მიზანი არ არის საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე ომის გავლენის სიღრმისეული ანალიზი. ასეთი ანალიზი დიდწილად დამოკიდებული იქნება მიმდინარე ომის შედეგებზე.

<sup>1</sup> მონაცემები ეყრდნობა საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსებს.



## რუსულ იმპორტზე დამოკიდებულება

საქართველოს ენერგეტიკული კავშირები რუსეთთან რამდენიმე კომპონენტისგან შედგება:


- ▶ ელექტროენერჯის იმპორტი
- ▶ აფხაზეთის დამოკიდებულება - ელექტროენერჯის იმპორტი ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონისთვის
- ▶ რუსეთის ელექტროსისტემასთან სინქრონიზაცია
- ▶ რუსული ელექტროენერჯის ტრანზიტი თურქეთში საქართველოს გავლით
- ▶ ბუნებრივი გაზის იმპორტი ადგილობრივი მოხმარებისთვის
- ▶ ბუნებრივი გაზის ტრანზიტი სომხეთში საქართველოს გავლით
- ▶ ნავთობპროდუქტების იმპორტი
- ▶ რუსული კაპიტალი და აქტივები საქართველოს ენერგეტიკის სექტორში

თითოეული კომპონენტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და გავლენას ახდენს ერთმანეთზე, ამიტომ დაცვის ღონისძიებებიც ერთიანი მიდგომის შემუშავებას მოითხოვს. აღნიშნული კავშირების დასანახად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა ტიპის დამოკიდებულებას გულისხმობს თითოეული კომპონენტი.

### ელექტროენერჯია


საქართველოში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ძირითად ნაწილს ადგილობრივი გენერაციის ობიექტები, ჰიდრო და თბოელექტროსადგურები, აკმაყოფილებენ. სეზონურობის გამო ჰიდროელექტროსადგურები მაქსიმუმ ენერჯიას მაისი-ივლისის (98%-ზე მეტი), ხოლო მინიმუმს (დაახლოებით 46-53%) დეკემბერი-თებერვლის პერიოდში გამოიმუშავებენ. ზამთარში ელექტროენერჯის მოხმარების ნაწილი თბოელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯით (რომლებიც, თავის მხრივ, იმპორტირებულ ბუნებრივ გაზს იყენებენ) და იმპორტით იფარება. ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ხორციელდება.





გრაფიკი 1: ელექტროენერჯის იმპორტი ქვეყნების მიხედვით

რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტმა მაქსიმუმს 2017 წელს მიაღწია და ქვეყნის შიდა მოხმარების 3.8% (452 მლნ. კვტ. სთ) შეადგინა. წლების მიხედვით განსხვავდება იმპორტირებული ელექტროენერჯის ფასებიც. ყველაზე იაფი ელექტროენერჯია სწორედ 2017 წელს ღირდა (საშუალოდ 3 აშშ. ცენტი). ამ დროს საქართველომ რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტში 13 მლნ. დოლარი გადაიხადა. ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის მონაცემებს ბოლო 6 წლის განმავლობაში.



გრაფიკი 2: ელექტროენერჯის იმპორტი ხუსეთიდან

როგორც მონაცემები აჩვენებს, **წლიურ ჭრილში რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი საქართველოს მთლიან შიდა მოხმარებაში მაღალი არ არის (არ აღემატება 4%-ს)**. ეს ეხება პიკური მოხმარების პერიოდში განხორციელებულ იმპორტსაც (ელექტროენერჯის იმპორტის ანალიზი მნიშვნელოვანია არა წლიურ, არამედ პიკური მოხმარების ჭრილში, რაც ყოველდღიური თუ ყოველსაათობრივი მონაცემების გაანალიზებას გულისხმობს). 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსეთის ელექტროსისტემას მნიშვნელოვან ტვირთად აწევს ყირიმის ელექტრომომარაგება, ამიტომ საქართველოში რუსული ელექტროენერჯის იმპორტი ნაკლებია. **საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი სრულად ჩანაცვლება.**

საქართველოს რუსეთიდან ელექტროენერჯია დამატებით შემოაქვს ოკუპირებული აფხაზეთისთვის. ელექტროენერჯია შემოდის საქართველოს გადამცემ სისტემაში, რადგან ოკუპირებული აფხაზეთი არის დანარჩენი საქართველოს ერთიანი ელექტროსისტემის ნაწილი. ზოგადად, ოკუპირებული აფხაზეთის მიერ ელექტროენერჯის მოხმარების დიდი წილი (90% 2020 წელს) ენგურისა და ვარდნილის ჰესების გამომუშავებიდან იფარება, რუსეთიდან იმპორტი კი მხოლოდ 10% შეადგენს. ამ მხრივ გამონაკლისი იყო 2021 წელი, როცა, ენგურჰესის რეაბილიტაციის გამო, ოკუპირებული აფხაზეთისთვის რუსეთიდან იმპორტირებულმა ელექტროენერჯიამ აფხაზეთის წლიური მოხმარების 34% (992.7 მლნ. კვტ. სთ) შეადგინა. სწორედ ამ მიზეზით, 2021 წელს ელექტროენერჯის მთავარი მომწოდებელი საქართველოსთვის რუსეთი იყო. ამ წელს განხორციელდა 1.2 მლრდ. კვტ. სთ ელექტროენერჯის იმპორტი, რომლის 80% აფხაზეთის მომარაგებას მოხმარდა.

**იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ელექტროენერჯის მოხმარების უდიდეს წილს (92% 2021 წელს) ადგილობრივად წარმოებული ელექტროენერჯით იკმაყოფილებს და ამასთან, სხვა მუშობელ სახელმწიფოებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) გააჩნია ტრანსსასაზღვრო კავშირები, რუსეთზე იმპორტდამოკიდებულება ამ ეტაპზე არ არის მაღალი რისკის შემცველი.** მოხმარების ზრდის პირობებში, მსგავსი სურათის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია გენერაციის ადგილობრივი წყაროების განვითარება. ენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის გათვალისწინებით, რომელიც ელექტროენერგეტიკული ბირჟის შექმნას ითვალისწინებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარეგულირებელი სადგურების არსებობა.

**ელექტროენერჯის ჭრილში ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ელექტროსისტემა სინქრონულ რეჟიმში მუშაობს რუსეთისა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებთან.** რუსეთის ენერგოსისტემასთან მიერთების და სინქრონულ რეჟიმში მუშაობის შედეგია ქსელში სიხშირის და ძაბვების მეტი სტაბილურობა (ქსელში ნომინალური სიხშირე უნდა იყოს 50 ჰერცი), რაც მიწოდების ხარისხის უზრუნველსაყოფად არის მნიშვნელოვანი. **რუსეთის მხრიდან საქართველოს ელექტროსისტემის გათიშვა ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან ეს გამოიწვევს არასტაბილობას არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის ელექტროენერგეტიკულ სისტემაშიც.**

ომის პირობებში უკრაინისა და მოლდოვის ელექტროგადამცემი სისტემები კონტინენტური ევროპის სინქრონულ ქსელში (ENTSO-E) ჩაერთო (ENTSO-E, 2022), რითაც გამოეყო რუსეთისა და ბელარუსის ერთიან ელექტროსისტემას. ამ ღონისძიებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და 2023 წლამდე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ომის გამო გადაწყვეტილება დაჩქარებულად იქნა მიღებული. **ENTSO-E-ს ქსელში საქართველოს ელექტროსისტემის სინქრონიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს**, თუმცა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა მუშაობს ENTSO-E-ში დამკვირვებლის სტატუსის მისაღებად (GSE, n.d.). ეს საშუალებას მისცემს ქვეყანას, გამართოს ადგილობრივი რეგულაციები და, გრძელვადიან პერსპექტივაში, იფიქროს ინტეგრაციაზე.


რუსეთიდან საქართველოს გავლით ხორციელდება ელექტროენერჯის ტრანზიტი თურქეთში. ტრანზიტი 2020 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და ჯამში 463 GWh შეადგინა. ტრანზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის მარტშიც (92 GWh) (GSE, 2022).

## ბუნებრივი გაზი

ცნობილია, რომ რუსეთი გაზს პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებს. ასე იყო საქართველოს შემთხვევაშიც. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს პროდასავლური მისწრაფებების ზრდის კვალდაკვალ, იზრდებოდა გაზის ფასიც. 2004-2006 წლებში ათასი კუბური მეტრი გაზის ღირებულებამ \$50-დან \$235-მდე აიწია. 2006 წელი გახდა ენერგეტიკის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების თვალსაჩინო მაგალითი, როცა რუსეთის ტერიტორიაზე მაგისტრალური მილსადენის 2 დამოუკიდებელი შტოს ერთდროული დივერსიული დაზიანების შედეგად საქართველოს თითქმის 2 კვირის განმავლობაში შეუწყდა გაზის მოწოდება. დაზიანდა ელექტროენერჯის გადამცემი ხაზიც, რომელიც რუსეთიდან იმპორტისთვის გამოიყენებოდა. როცა აზერბაიჯანის დახმარებით შესაძლებელი გახდა ალტერნატიული მარშრუტით (აზერბაიჯანის გაზის სატრანსპორტო სისტემით) რუსული გაზის მიწოდების სქემის ამოქმედება, რუსულმა „გაზპრომექსპორტმა“ გაზის მიწოდება აზერბაიჯანსაც შეუწყვიტა (WEG, 2019). ენერგომომარეგების პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად გამოყენება გრძელდებოდა მანამ, სანამ სამხრეთკავკასიური მილსადენი (SCP) ამოქმედდებოდა და ზეგავლენის ბერკეტები მნიშვნელოვნად დასუსტდებოდა.

2007 წლიდან გაზის მთავარი მომწოდებელი და სტრატეგიული პარტნიორი საქართველოსთვის აზერბაიჯანი გახდა. რუსეთთან კავშირები შემოიფარგლა „ჩრდილოეთ-სამხრეთ კავკასიის მაგისტრალური გაზსადენით“, რომელიც საქართველოს გავლით, რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანზიტს ემსახურება. ტრანზიტის საფასურს „გაზპრომექსპორტი“ საქართველოს 2017 წლიდან ფულადი სახით უხდის<sup>8</sup>. თანხა კომერციული საიდუმლოა. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია, „გაზპრომექსპორტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ამავე მილსადენით მიიღოს რუსული გაზი (სნგკ, 2020).


რუსეთიდან ბუნებრივი გაზის იმპორტი საქართველოში 2018-2020 წლებში 39 მილიონი მ<sup>3</sup>-დან 204 მილიონ მ<sup>3</sup>-მდე გაიზარდა, რაც ქვეყანაში გაზის მოხმარების 7.6%-ს შეადგენს (იხ. გრაფიკი 3). 2021 წელს ამ მაჩვენებელმა 15%-ს მიაღწია. რუსული გაზის მთავარი მყიდველი კომერციული სექტორია. ბუნებრივი გაზის შემთხვევაშიც, ელექტროენერჯის მსგავსად, მნიშვნელოვანია პიკის საათების მოთხოვნის დაკმაყოფილება.



გრაფიკი 3: ხუსული გაზის იმპორტი საქართველოში

**გაზის ძირითადი მომწოდებელი ადგილობრივ ბაზარზე აზერბაიჯანია.** საქართველო გაზს აზერბაიჯანის „შაჰ-დენიზის“ საბადოდან იღებს „სამხრეთ-კავკასიური მილსადენის“ საშუალებით, ე.წ. „ოფციურ“ და „დამატებით“ გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე. „ოფციური“ გაზის მოცულობა ყოველწლიურად განისაზღვრება აზერბაიჯანიდან თურქეთში გატარებული გაზის მოცულობის მიხედვით (კონტრაქტი საშუალებას იძლევა შეღავათიან ფასად შესყიდულ-იქნას გატარებული გაზის 5%-მდე მოცულობის გაზი ყოველწლიურად). ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2068 წლამდეა. დამატებითი გაზის მოცულობა ფიქსირებულია. ხელშეკრულების საფუძველზე (მოქმედების ვადა - 2026 წლამდე) ქვეყანაში წლიურად 500 მლნ. მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი შემოდის (BP, 2006). წლიური მოცულობის სხვაობის შევსების მიზნით, საქართველოს მთავრობასა და კომპანია სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს შორის ასევე გაფორმებულია მემორანდუმი ბუნებრივი გაზით მომარაგების თაობაზე 2030 წლამდე.

„ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის მყიდველია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, რომელსაც შესაბამისი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული (სნგკ, 2020). თავის მხრივ, კორპორაცია, „სოკარის“ აფილირებული კომპანიის მეშვეობით, გაზს „სოცი-ალური გაზის“ ფორმით საყოფაცხოვრებო მომხმარებლებსა და თბოელექტროსადგურებს აწვდის, რაც იმას ნიშნავს, რომ **საყოფაცხოვრებო სექტორს ბუნებრივი გაზი შეღავათიან ფასად მიეწოდება. შეღავათიან ფასად იღებენ გაზს თბოელექტროსადგურებიც, რომლებიც ამ გაზს ელექტროენერჯის სანარმოებლად იყენებენ, შესაბამისად, შესაბამისად, გაზის იაფად მიწოდების ხარჯზე, ელექტროენერჯიაც სუბსიდირებულია.**



გრაფიკი 4: ბუნებრივი გაზის მიღების წყაროები საქართველოში

**რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოსთვის აზერბაიჯანის მიერ მოწოდებულ ბუნებრივ გაზზე მოკლევადიან პერსპექტივაში მინიმალურია, რადგან აზერბაიჯანი, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს საქართველოს გაზმომარაგებას.** თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორში (ისევე როგორც კომერციულ სექტორში) მკვეთრად იზრდება ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის მოხმარება (მოხმარებული ელექტროენერჯის ნაწილს კი თბოსადგურები გამოიმუშავენ იმპორტირებული გაზით), რის გამოც, **ბოლო წლებში, რუსეთიდან ბუნებრივი გაზის იმპორტის ზრდა შეინიშნება (2021 წელს 14-15 % იმპორტი).**

**პრობლემატურია პიკის საათებში ენერჯის მოხმარების საკითხი.** სამხრეთ კავკასიურ მილსადენზე (SCP) არსებული ტექნიკური შეზღუდვის გამო, დღიურად საქართველოს გარკვეულ მოცულობაზე (5.4 მლნ მ<sup>3</sup>/დღ) მეტი გაზის მიღება არ შეუძლია (სნგკ, 2020). **ზამთრის პერიოდში, პიკის საათებში არსებული მყისიერი საჭიროება დამატებით იმპორტით უნდა**

**დაბალანდეს, რადგან ქვეყანას არ აქვს გაზსაცავი, რომელსაც მსგავსი შემთხვევების დროს გამოიყენებდა.** არსებობს კონტრაქტით გათვალისწინებული შეზღუდვაც, რომლის მიხედვითაც, „ოფციური გაზის“ მოწოდება დროში არის გადანაწილებული, ანუ საქართველო ამ გაზს სრულად ზამთარში ვერ იღებს, მოხმარების 80% კი სწორედ ზამთარზე მოდის. ამასთან, თუ ელექტროენერჯის მოხმარება იზრდება, გაზის იმპორტიც იზრდება (თბოსადგურების ხარჯზე). შესაბამისად, რუსეთიდან გაზის იმპორტი ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე არის დამოკიდებული.


ტექნიკურად საქართველოს რუსეთიდან გაზი მოეწოდება ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო მილსადენით, რომელიც სომხეთს ამარაგებს. რუსეთიდან გაზის მოწოდების ფიზიკური შეწყვეტა ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ეს გამოიწვევს სომხეთისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტას.

## ნავთობპროდუქტები

**საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარი დივერსიფიცირებულია და იმპორტი რამდენიმე ქვეყნიდან ხორციელდება.** ნავთობპროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი (27.1% 2020 წელს) რუსეთიდან არის იმპორტირებული. 2016-2020 წლებში იმპორტის საშუალო წლიურმა ზრდამ 12% შეადგინა (იხ. გრაფიკი 5). ბენზინი და დიზელი ძირითადად ტრანსპორტის სექტორში მოიხმარება.

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან ნავთობპროდუქტების იმპორტს საქართველოს მოხმარებაში მნიშვნელოვანი წილი უკავია, მიმდინარე ომის პირობებში რუსეთიდან იმპორტის შეზღუდვის შემთხვევაში, დეფიციტის დაბალანდება სხვა ქვეყნებიდან იმპორტის გაზრდით არის შესაძლებელი.**

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ნავთობპროდუქტების სტრატეგიული რეზერვები ამ ეტაპზე არ აქვს შექმნილი. ასეთი რეზერვების არსებობა ქვეყანას ევროკავშირის 2009/119/EC დირექტივით ევალება.



გრაფიკი 5: ნავთობპროდუქტების იმპორტი რუსეთიდან



მოცემული ფაქტორების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ რუსეთიდან ენერჯის იმპორტი კომპლექსური საკითხია და მრავალმხრივ ანალიზს მოითხოვს, თუმცა **მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთს ენერგეტიკის კუთხით საქართველოს წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ზეწოლის ბერკეტი არ აქვს. ეს უხედა როგორც ენერჯის მიწოდების შეწყვეტას, ისე მიწოდების შეწყვეტის შექარას და მის გამოყენებას პოლიტიკური შანტაჟისთვის.** რუსული გავლენის ბერკეტები (რომლებიც მიმდინარე ომთან არ არის დაკავშირებული) შეიძლება იყოს კორუფციის წახალისება და არაგამჭვირვალე გარემოს შექმნა, რაც არ არის მხოლოდ ენერგეტიკის სექტორის პრობლემა და რისი გადაწყვეტაც გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებასა და ანალიზს საჭიროებს.

**რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებისა და შესაბამისი ვალდებულებების აღების ღიაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.** განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა რუსეთის, როგორც ხელშეკრულების მხარის, კეთილსინდისიერება. სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, რომ რუსეთთან ურთიერთობები იყოს ღია და გამჭვირვალე. გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია მოწესრიგდეს სატარიფო პოლიტიკა გაზის ტრანზიტთან მიმართებით. ტრანზიტის პირობები უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

### რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იზრუნოს გენერაციის ადგილობრივი წყაროების განვითარებაზე, რადგან, ენერჯის მოხმარების ზრდის კვალდაკვალ, იზრდება იმპორტირებულ ენერჯიაზე, მათ შორის, რუსულ იმპორტზე, დამოკიდებულება;
- სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებასა და დანერგვას ენერჯის მიწოდება-მოხმარების მთელ ჯაჭვში, სადაც ენერჯის დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს;
- საქართველომ უნდა შეამციროს ენერჯის იმპორტის სხვადასხვა წყაროზე დამოკიდებულების პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები. მნიშვნელოვანია გარე მიწოდების წყაროების ოპტიმიზაცია, გამჭვირვალე კონკურენტულ გარემოში მოქცევა და მიწოდების ახალი ალტერნატივების განვითარება;
- სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა დაისახოს გაზსაცავის მშენებლობა, რაც დაეხმარება ქვეყანას გაზის რეზერვების შექმნაში, სეზონური მოთხოვნის დაბალანსებასა და იმპორტის დარეგულირებაში;
- ქვეყანამ უნდა ააშენოს საკუთარი ნავთობგადამამუშავებელი საწარმო, რომელიც ადგილობრივად წარმოებული და იმპორტირებული ნედლი ნავთობის გადამამუშავებით, შიდა ბაზარს მიაწვდის ნავთობპროდუქტებს. ეს ხელს შეუწყობს მიწოდების დივერსიფიკაციას, იმპორტდამოკიდებულების შემცირებას, ფასების სტაბილიზაციას და საბოლოოდ ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებას;
- საქართველომ უნდა გააძლიეროს კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა კინეტიკური და კიბერ-საფრთხეებისგან, რისი რისკებიც რეალურია რუსეთის ჰიბრიდული ომის პირობებში;
- საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს ნახშირწყალბადების საკუთარი მარაგების ძებნა-ძიებასა და ოპტიმალურ გამოყენებას. არსებული და პოტენციური წიაღისეული რესურსების მარაგების შესწავლითა და რაციონალური გამოყენებით საქართველო შეძლებს იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას;
- არსებული, მოძველებული თბოელექტროსადგურები უნდა ჩანაცვლდეს მაღალი ეფექტიანობის კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინიანი თბოელექტროსადგურებით, რაც წარმოებული ელექტროენერჯის ერთ ერთეულზე შეამცირებს მოხმარებულ გაზს.



# ენგურჰესის და აფხაზეთის ენერგომომარაგების საკითხი

ენგურჰესი საქართველოს ენერგოსისტემისთვის უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული ობიექტია. მისი წილი ქვეყნის საერთო ელექტრომომარაგების 35%-ზე მეტს შეადგენს (ენგურჰესი, 2022). ენგურჰესს, უდიდესი ენერგეტიკული მნიშვნელობის გარდა, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი დატვირთვაც აქვს. ეს არის ადგილი, სადაც ქართველები და აფხაზები თანამშრომლობენ. აფხაზეთის ომის შემდეგ ენგურჰესის შენობა (სამანქანო დარბაზი), ქვესადგური და ვარდნილჰეების კასკადი მთლიანად ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ხოლო კაშხალი, წყალსაცავი და დერივაციული გვირაბის ნახევარი - ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის აქეთ. ომის შემდეგ მოხდა არაფორმალური, ზეპირი შეთანხმება ენგურვარდნილის კასკადის გამომუშავების განაწილების შესახებ ოკუპირებულ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის პროპორციით 40:60, რაც იმ პერიოდისათვის გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილი აქტივების შეფასებულ ღირებულებას შეესაბამებოდა. მას შემდეგ აფხაზური მხარე ენგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას მოიხმარს სადგურისათვის ყოველგვარი ფინანსური ანაზღაურების გარეშე. მოხმარება წლიდან წლამდე იზრდება. ზამთარში აფხაზეთის მოხმარება ენგური/ვარდნილის კასკადის გამომუშავებას აჭარბებს, რის გამოც საჭირო ხდება ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან. **აფხაზეთი, სადაც ბოლო მონაცემებით 250000-მდე ადამიანი ცხოვრობს, დაახლოებით იმდენ ელექტროენერგიას მოიხმარს, რასაც მილიონნახევრიანი თბილისი** (მარგველაშვილი, 2019).

ელექტროენერგიის მზარდ მოხმარებას რამდენიმე მიზეზი აქვს. აფხაზეთში არ არის მოწესრიგებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა და აბონენტების გამრიცხველიანების საკითხი, ენერგეტიკული ტარიფები დაბალია (საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის ტარიფი დაახლოებით 2 თეთრია), მოსახლეობის უმეტესობა კი მოხმარებული ენერგიის საფასურს არ იხდის. გადაუხდელი მოხმარების პირობებში იზრდება კრიპტოვალუტების მაინინგი.

აფხაზეთში ბუნებრივი გაზი არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ენერგიის ძირითადი წყარო ენგურის მიერ გამომუშავებული ენერგია და რუსეთიდან განხორციელებული იმპორტია.

**რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ აფხაზეთში აქტუალური გახდა რუსეთის მიერ გამოყოფილი დახმარებებისა და ენერგომომარაგების კუთხით არსებული შესაძლო გამოწვევები.** ადგილობრივი პოლიტოლოგები მიუთითებენ, რომ აფხაზეთს რუსეთის მხრიდან გარკვეული დახმარება გაენევა, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება ცხოვრების არსებული დონის შესანარჩუნებლად. აფხაზი ექსპერტები ასევე ვარაუდობენ, რომ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ფონზე, აფხაზეთში რუსი ტურისტების ნაკადი გაიზრდება. მწვავედ დადგება ენერგომომარაგების საკითხი. **დაგეგმილია ენერგიაზე ტარიფის გაზრდა** (ტანია, 2022). ახალი გაანგარიშებით, რომელიც პირველი ივლისიდან ამოქმედდება, ფიზიკური პირები ერთ კილოვატსაათში, 40-ის ნაცვლად 70 კაპიკს (დაახლოებით 0,8 ცენტს) გადაიხდიან. იურიდიული პირებისთვის კი ტარიფი 80 კაპიკიდან 1,40 რუბლამდე გაიზრდება (დაახლოებით 1,7 ცენტი). მოსახლეობა ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებს. **ივარაუდება, რომ გადასახადის აკრეფის მაჩვენებელი, რომელიც ამჟამად 35% -ს არ აღემატება, კიდევ უფრო შემცირდება** (ხაშიგი, 2022).

ასეთ პირობებში, **სავარაუდოდ, გაიზრდება რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი და შესაძლოა, აფხაზეთმა წაიღოს ენგურჰესის გამომუშავების უფრო დიდი ნაწილი.** დღეს არსებული შეთანხმებით, აფხაზეთი ენგურჰესის გამომუშავების 40%-ს მოიხმარს, თუმცა 40:60 პროპორციის დაცვა მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა.

ასევე, ჩნდება შესაძლებლობა, რომ გაძლიერდეს თანამშრომლობა ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში გამრიცხველიანების კუთხით. აფხაზეთის რეგიონში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გამართვა და აღრიცხვიანობის მონესრიგება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც აფხაზეთში ენერჯის მოხმარების რეგულირების, ისე - საქართველოს ელექტროსისტემაზე წნეხის შემცირების კუთხით.



#### რეკომენდაციები:

- ⦿ მნიშვნელოვანია ენგურჰესის გამომუშავების 40-60 განაწილების მკაცრი დაცვა, პოტენციურ საერთო სარგებელზე მსჯელობის გაძლიერება და ახალი, ორმხრივ სასარგებლო შეთანხმებების ძიება.
- ⦿ გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ხედვა, რომელიც აფხაზეთის რეგიონში გამრიცხველიანების პრობლემის მოგვარებას შეეხება.



# რუსული კაპიტალი საქართველოს ენერგეტიკაში და სანქციების ზეგავლენა

საქართველოს ენერგეტიკის სექტორში რუსული კაპიტალისა და აქტივების ფლობის შესახებ ჩატარებული მოკვლევებით შემდეგი სურათი იკვეთება (ძველიშვილი & კუპრეიშვილი, 2015; მთივლიშვილი, 2022):

რუსული კომპანია „ინტერ რაო“ შუალედური კომპანიების საშუალებით ფლობს თბილისის გამანაწილებელი კომპანიის „თელასის“ აქციების 75%-ს, კომპანია „თელმიკოს“ აქციების 75%-ს და ასევე ჰესებს – „ხრამჭესი I-ს“ და „ხრამჭესი II-ს“. შილდაჰესს და ლარსიჰესს ფლობს შპს „ენერჯია“, რომლის 70% რუსეთის მოქალაქეს ეკუთვნის. შპს „ენერჯია“ ასევე ფლობს სს „დარიალი ენერჯის“ (დარიალიჰესი) 44.27%-ს. რუსეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის ფედერალური საქსელო კომპანიის (ΠΑО «ФСК ЕЭС») საკუთრებაშია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მფლობელი „საქრუსენერგოს“ 50%-იც. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები საქართველოსა და რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის, და საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემების დასაკავშირებლად გამოიყენება.

2021 წლის 4 იანვარს სს „საქრუსენერგოსა“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ („სსე“) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სს „საქრუსენერგო“ ვალდებულია სსე-ს იჯარით გადააბაროს ელექტროენერჯიის გადაცემის ხაზები განუსაზღვრელი ვადით, ასევე, უზრუნველყოს გადამცემი ხაზების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

**ენერგეტიკაში საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ენერგეტიკა რეგულირებადი საქმიანობაა და ჩვეულებრივი ბიზნესისგან განსხვავდება.** „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონით“ განსაზღვრულია ლიცენზირებადი საქმიანობები. ასეთ საქმიანობებს მიეკუთვნება ელექტროენერჯიის წარმოების ლიცენზია, ელექტროენერჯიის გადაცემის ლიცენზია და ელექტროენერჯიის განაწილების ლიცენზია.<sup>2</sup> **ენერგეტიკა, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესის სფერო, განსაკუთრებულ რეგულირებაშია მოქცეული.** ლიცენზირება გულისხმობს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ, სემეკის მიერ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებას.

ენერგეტიკული ობიექტები საქართველოში რეგისტრირებული სამენარმეო სუბიექტებია. ისინი ლიცენზირებად საქმიანობას ახორციელებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიცენზიის პირობები და მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ.

**ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს რიგი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, სპეციალური მმართველის დანიშვნას.**<sup>3</sup> კანონი ზედმინწევნით განსაზღვრავს, როგორ, რა ვადით და რა მიზნით ინიშნება სასამართლოს მიერ სპეციალური მმართველი. საქართველოს ამ მხრივ აქვს გარკვეული გამოცდილება შპს „ყაბტრანსგაზთან“ მიმართებით, სადაც 2009 წელს სასამართლომ სპეციალური მმართველი დანიშნა (სემეკი, 2009). არსებობს სასამართლო პრაქტიკა შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ სპეციალურ მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებითაც.<sup>4</sup>

<sup>2</sup> ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-15, მე-16, მე-18 პუნქტები.

<sup>3</sup> ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

<sup>4</sup> უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე N ბს-689-655 (კ-კს-09).



შესაბამისად, თუ ნებისმიერი ქმედება ან მდგომარეობა აღქმული იქნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ელექტროენერჯის ან გაზის წარმოების/მიწოდების შეფერხება, ლიცენზიის გამცემი (სემეკი) უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შესაბამის ლიცენზირებად სანარმოში სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე. სპეციალური მმართველი სასამართლოს მიერ აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით, უზრუნველყოს ლიცენზიით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულება.

ამდენად, თუ, მაგალითად, „თელასს“ შეექმნება პრობლემები რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გამო, სახელმწიფოს აქვს ბერკეტი, დაიცვას მოქალაქეები ელექტროენერჯის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემებისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2022 წლის 26 თებერვლის მითითებით, საქართველოში ლიცენზირებულ/რეგისტრირებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს რუსეთის ფედერაციის მიმართ აშშ-ს, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებული სანქციების მოთხოვნების გათვალისწინება და მათით ხელმძღვანელობა დაევალით. **საერთაშორისო სანქციების მოთხოვნების შესაბამისად, ქართულ ფინანსურ ინსტიტუტებს ეზღუდებათ მომსახურების განწევა იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც სანქცირებულ პირთა სიებშია.** რუსეთის ფედერაციის სანქცირებული მოქალაქეებს ეზღუდებათ წვდომა როგორც საკრედიტო ხაზზე, ისე ბანკების მხრიდან გარანტიების გაცემაზე. **არსებობს რეალური საფრთხე და მაღალი ალბათობა იმისა, რომ ადგილობრივი საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან მომსახურების არ განწევა კომპანიაში ფინანსური კრიზისი გამოიწვიოს და მან ვერ შეძლოს ფულადი ვალდებულებების შესრულება.** კანონი ასეთ შემთხვევაში ითვალისწინებს - სასამართლოს სპეციალური მმართველის დანიშვნა გადახდისუნარობით გამონვეული ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაშიც შეუძლია.

შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს ენერგეტიკის სექტორში აქტივების ფლობა ამ სექტორის ფუნქციონირებას ნაკლებად უქმნის საფრთხეს. ყველა სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ლიცენზირებად საქმიანობას რეგისტრირებულია საქართველოში ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა რა პოზიცია ექნება მთავრობას რუსეთის მოქალაქეების მიერ აქტივების ფლობასთან დაკავშირებით ნებისმიერ სექტორში სტრატეგიული გადაწყვეტილებაა და მოითხოვს ანალიზს - რამდენად არის ქვეყანა მზად საკუთრების უფლების ჩამორთმევის ან დროებითი შეზღუდვისთვის. სწორად უნდა იქნეს საფრთხეები შეფასებული და ალტერნატივები მოძიებული. ამ ეტაპისთვის, საქართველო შეერთებულია ფინანსურ სანქციებს, რაც დადასტურებულია ეროვნული ბანკის მიერ.

**მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშსწორების საკითხი და საქართველოს დამოკიდებულება საფასურის რუსულ რუბლში გადახდასთან დაკავშირებით. ასევე, განსახილველია, ყველა რუსულ საფინანსო ორგანიზაციაზე სანქციის გავრცელების შემთხვევაში როგორ უნდა მოხდეს ანგარიშსწორება - რა პოზიცია აქვს ამასთან დაკავშირებით ქვეყანას.** მართალია, რუსეთისთვის არ არის კომერციულად მნიშვნელოვანი საქართველოს მიერ შესყიდული ბუნებრივი გაზის საფასურის რუბლში გადახდის მოთხოვნა, თუმცა ასეთი მოთხოვნის წამოჭრის შემთხვევაში, რომელსაც უდავოდ პოლიტიკური დატვირთვა ექნება, მთავრობას უნდა ჰქონდეს დასავლურ პარტნიორებთან შეთანხმებული პოზიცია.

### რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ ენერგეტიკის სექტორში კომპეტენტურმა ორგანოებმა კოორდინირებული თანამშრომლობით სისტემატურად შეაფასონ არსებული და მოსალოდნელი რისკები და მოამზადონ შესაბამისი სამოქმედო გეგმები, სცენარები.
- მთავრობას ჰქონდეს დასავლურ პარტნიორებთან შეთანხმებული პოზიცია ენერგორესურსების საფასურის რუსულ რუბლში გადახდასთან დაკავშირებით.





## ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით და მისი გავლენა საქართველოს ენერგომომარაგებაზე

რუსეთის უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა რუსული გაზისა და ნავთობის იმპორტზე მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესეს. აშშ-მ სრული ემბარგო დააწესა რუსული გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის იმპორტზე, დიდი ბრიტანეთი კი გეგმავს წლის ბოლომდე სრულად ჩაანაცვლოს რუსული ნავთობის იმპორტი. ევროკავშირი სანქციების მექანიზმს პაკეტით ასევე გეგმავს რუსულ ნავთობზე ემბარგოს დაწესებას. 2022 წლის ბოლოდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ ექნებათ უფლება ნავთობი რუსეთისგან შეისყიდონ (ეს წესი 2023 წლის ბოლოდან ამოქმედდება სლოვაკეთისა და უნგრეთისთვის) (Horton et al., 2022).

რუსული გაზის იმპორტის შეზღუდვა განსაკუთრებით მტკივნეულია ევროკავშირისთვის. ევროკავშირის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის 90% იმპორტირებულია. აქედან რუსეთის წილი 45%-ია. რუსეთიდან არის ასევე იმპორტირებული ნავთობის 27% და ქვანახშირის 46% (European Commission, 2022). რუსულ გაზზე დამოკიდებულება ქვეყნების მიხედვით განსხვავდება; დამოკიდებულება მაღალია გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, სლოვაკეთსა და უნგრეთში.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, დააჩქაროს განახლებადი ენერჯის წყაროებზე გადასვლა, რაც „ევროპის მწვანე შეთანხმებით“ (European Green Deal) 2030 წლამდე წიაღისეულ სანვავზე დამოკიდებულების შემცირებას გულისხმობდა (European Commission, 2019). ევროკავშირის ახალი გეგმით (REPower EU) რუსულ სანვავზე კრიტიკული დამოკიდებულება 2030 წელზე ადრე უნდა მოიხსნას. **ევროკავშირი გეგმავს, 2022 წლის ბოლომდე ორი მესამედით შეამციროს რუსულ გაზზე დამოკიდებულება.** ევროკომისია ასევე აღნიშნავს, რომ „**ევროკავშირი მზად არის დაეხმაროს უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს, უზრუნველყოფილი იყვნენ საიმედო და მდგრადი ენერჯით**“ (European Commission, 2022).

**ევროკავშირში იმპორტირებული რუსული გაზის ჩანაცვლების საკითხში აზერბაიჯანის როლი იკვეთება.** აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის - SOCAR-ის - განცხადებით, მიმდინარე წელს აზერბაიჯანი ევროპისთვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობას 30%-ით გაზრდის (Business Standard, 2022). **აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით (Turan, 2022), აზერბაიჯანს „2.6 ტრილიონი მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზის რეზერვები აქვს, რაც საკმარისია მეზობელი ქვეყნებისთვის და ევროპული ქვეყნებისთვის“.**

აზერბაიჯანის გაზი ევროპას სამხრეთის გაზის კორიდორის საშუალებით მიეწოდება. ეს კორიდორი მოიცავს სამხრეთ კავკასიურ მილსადენს (SCP), ტრანსანატოლიურ მილსადენს (TANAP) და ტრანს ადრიატიკულ მილსადენს (TAP). მისი მარშრუტი (SCP) საქართველოზეც გადის. საინტერესოა, რომ აღნიშნული მარშრუტი ინიცირებულია სწორედ ევროკავშირის მიერ, 2009 წლის ზამთარში რუსეთის მიერ უკრაინისა და უკრაინის გავლით ევროპაში გაზის მიწოდების გაუთვალისწინებელი შეწყვეტის შემდეგ (სნგკ, 2019).

აზერბაიჯანი აცხადებს, რომ შეუძლია TANAP 13 მლრდ მ<sup>3</sup> დან 31 მლრდ მ<sup>3</sup> მდე გაზარდოს, TAP მოცულობა კი გააორმაგოს 10 მლრდ მ<sup>3</sup>-მდე (Turan, 2022). გატარებული მოცულობების გაზრდა ნიშნავს, რომ გაიზრდება საქართველოს მიერ შეღავათიან ფასად მიღებული გაზის მოცულობაც (როგორც უკვე აღნიშნა, „ოფციური“ გაზი საქართველოში საყოფაცხოვრებო სექტორსა და თბოელექტროსადგურებს შეღავათიან ფასად მიეწოდება). ამ მოცულობების გაზრდა დამოკიდებული იქნება გატარებული გაზის მოცულობაზე. საქართველო შეღავათიან ფასად მიღებს გატარებული გაზის 5%-ს (სნგკ, 2020).

თუმცა, აქვე საყურადღებოა, რომ აზერბაიჯანული გაზის ევროკავშირში იმპორტის გაზრდას შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოსთვის მონოდებელი კომერციული გაზის ფასზე. საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას („სოკარს“) შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „სოკარი“ იღებს ვალდებულებას, საქართველო უზრუნველყოს ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობებით, რაც საქართველოში შემოდის ე.წ. კომერციული გაზის სახით. აღნიშნული შეთანხმება ძალაშია 2030 წლამდე. მისი დეტალები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის (WEG, 2017). სავარაუდოდ, ამ ხელშეკრულებით ასევე ბალანსდება განსხვავება სატრანზიტო გაზის მოცულობებსა და ე.წ. „სოციალური სექტორის“ ფაქტიურ მოხმარებას შორის. „სოკარი“ ასევე იღებს ვალდებულებას უწყვეტ მიწოდებაზე, სეზონური მოხმარების ცვალებადობის მიუხედავად.

არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანების საფუძველზე დერეგულირებულია (არ არის სემეკის მიერ რეგულირებული). მოხმარებული ბუნებრივი გაზის ფასის განისაზღვრება მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ტიპური ხელშეკრულების საფუძველზე. კომერციული ტარიფები სამომხმარებლო ტარიფებზე მაღალია და განსხვავდება სხვადასხვა ორგანიზაციისათვის (მაგ., პურის ქარხნები და საბიუჯეტო და საეკლესიო ორგანიზაციები იხდიან ნაკლებს, ვიდრე სხვა იურიდიული პირები; განსხვავებულია ტარიფი პირდაპირი მომხმარებლებისთვისაც).

**გაზრდილი ფასებისა და მოთხოვნის პირობებში, „სოკარს“ შეიძლება გაუჩნდეს მოტივაცია, მეტი გაზი მიანოდოს ევროკავშირს, შესაბამისად, შეიძლება ამან საქართველოში კომერციული გაზის ფასზე და ხელმისაწვდომობაზე იმოქმედოს.** სასურველია სოკართან გაფორმებული ხელშეკრულების გასაჯაროება, რომ საზოგადოებამ იცოდეს, როგორ შეიძლება აისახოს მიმდინარე მოვლენები საქართველოში გაზის ფასებზე და იძლევა თუ არსებული ხელშეკრულება მსგავსი დაშვების შესაძლებლობას.

ღიაობა და გამჭვირვალობა ევროპული კანონმდებლობის ის პრინციპებია, რომლებიც კორუფციული და უკანონო გარიგებების მინიმუმადე დაყვანას განაპირობებს. დახურული კონტრაქტები ბადებს ეჭვს შესაძლო კორუფციული გარიგების ალბათობის შესახებ და ნოყიერ ნიადაგს ქმნის დეზინფორმაციის გავრცელებისთვის. როცა შეუძლებელია ინფორმაციის გადამოწმება და არ მოქმედებს სამოქალაქო კონტროლი, ჩნდება ეჭვები და მითები, რაც ხალხის შეცდომაში შეყვანის, ცრუ ინფორმაციის გავრცელებისა და მანიპულირების მარტივი საშუალებაა.

### რეკომენდაციები:

- მოკლევადიან ჭრილში მიზანშეწონილია გატარდეს ზომები ბუნებრივი გაზის ბაზრის ე.წ. კომერციულ სექტორში ფასების დადგენის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პრინციპების დანერგვისთვის. მოხდეს გაზის სექტორის არსებული ხელშეკრულებების და ფასის რეგულირების პრინციპების გასაჯაროება. ფასის დადგენა დაეყრდნოს რეგულირების გამჭვირვალე პრინციპებს.
- გაზის გაზრდილი ფასების პირობებში, გადაიხედოს ტარიფის სუბსიდირების მექანიზმი. შეღავათიანი პირობები და მიზნობრივი დახმარების პროგრამები დაიხვეწოს და შენარჩუნდეს მხოლოდ მოწყვლად მომხმარებლებისთვის.
- გაზის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციისთვის განხილული იქნას გაცვლის (swap) მექანიზმის განვითარება, როდესაც სატრანზიტო ნაკადიდან მიღების სანაცვლოდ მიმღებ ქვეყანას საქართველოს მიერ საერთაშორისო ბაზრებზე შესყიდული გაზი მიეწოდება.

## ბიბლიოგრაფია

- A European Green Deal. *European Commission (n.d.)*. Retrieved from [https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal\\_en](https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en).
- Azerbaijan to increase natural gas supplies to Europe by 30% in 2022*. (2022, April 30). Business Standard. Retrieved from [https://www.business-standard.com/article/international/azerbaijan-to-increase-natural-gas-supplies-to-europe-by-30-in-2022-122043000488\\_1.html](https://www.business-standard.com/article/international/azerbaijan-to-increase-natural-gas-supplies-to-europe-by-30-in-2022-122043000488_1.html).
- Chivvis, C. S. (2017). Understanding Russian "Hybrid Warfare". RAND Corporation. Retrieved from [https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/CT400/CT468/RAND\\_CT468.pdf](https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/CT400/CT468/RAND_CT468.pdf).
- Continental Europe successful synchronisation with Ukraine and Moldova power systems*. (2022, March 16). ENTSO-E. Retrieved from <https://www.entsoe.eu/news/2022/03/16/continental-europe-successful-synchronisation-with-ukraine-and-moldova-power-systems/>.
- Cooperation with the Energy Community*. (n.d.). GSE. Retrieved from <https://www.gse.com.ge/about-us/international-affairs/Cooperation-with-ENTSO-E>.
- Electricity Balance of Georgia*. (2022). GSE. Retrieved from [https://esco.ge/files/data/Balance/energobalans\\_2022\\_eng.pdf](https://esco.ge/files/data/Balance/energobalans_2022_eng.pdf).
- European Commission. (2022, March 3). *REPowerEU: Joint European Action for more affordable, secure and sustainable energy*. Retrieved from <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM:2022:108:FIN>.
- Horton, J., Palumbo D. & Bowler, T. (2022). Russia sanctions: Can the world cope without its oil and gas? *BBC*. Retrieved from <https://www.bbc.com/news/58888451>.
- Putin calls collapse of Soviet Union 'catastrophe'*. (2005, April 26). The Washington Post. Retrieved from <https://www.washingtontimes.com/news/2005/apr/26/20050426-120658-5687r/>
- Turan, I. (2022, March 12). *Azerbaijan's natural gas enough for neighbors, Europe, says energy minister*. Anadolu Agency. Retrieved from <https://www.aa.com.tr/en/turkey/azerbaijans-natural-gas-enough-for-neighbors-europe-says-energy-minister/2533108>.
- World Experience for Georgia WEG. (2017). *ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში*. Retrieved from [http://weg.ge/sites/default/files/transparency\\_study-final\\_0.pdf](http://weg.ge/sites/default/files/transparency_study-final_0.pdf).
- World Experience for Georgia WEG. (2019). *Kremlin's Energy Policy as a Channel of Influence, Case study from Georgia*. Retrieved from <https://expertforum.ro/en/kremlins-energy-policy-as-a-channel-of-influence-a-comparative-assessment/>.
- ენგურჰესი. (2022, 30 აპრილი). *საქმიანობა*. Retrieved from <https://www.engurhesi.ge/ka/page/6-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90>.
- ეჩოვნი უსაფრთხოების გამოწვევა*. Retrieved from <http://weg.ge/sites/default/files/abkhazia-final-1.pdf>.
- თემუხ გოჩიტაშვილი - TANAP-ის ამოქმედების შედეგად საქართველო საერთაშორისო მასშტაბის მოთამაშედ ჩამოყალიბდა*. (2019, 11 დეკემბერი). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია სნგკ. Retrieved from <https://www.gogc.ge/ka/press-article/temur-gochitashvili---tanap-is-amoqmedebis-shedegad-saqartvelo-saertashoriso-masshtabis-motamashed-chamoyalibda/24>.
- მახველაშვილი, მ. (2019). ენგურჰესი და აფხაზეთის ენერგომომხაჩება -ენერგეტიკული და ეჩოვნი უსაფრთხოების გამოწვევა*. Retrieved from <http://weg.ge/sites/default/files/abkhazia-final-1.pdf>.

მთივლიშვილი, გ. (2022, 28 აპრილი). *ჩუსეთი საქათვედოს ენეჰეტიკაში და ახადი ჰესები „ინგეხ ხაოს“ საფაჰქვეშ. მთის ამბები*. Retrieved from <https://mtisambebi.ge/news/item/1528>.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია სნგკ. (2020). *საქათვედოს ბუნებეხივი გაზის გადამცემი ქსედის განვითაჰების ათწიანი გეგმა 2021-2030*. Retrieved from <https://www.gogc.ge/uploads/tinymce/documents/2020,%2025.11.2020.pdf>.

სემეკმა სს „ყასტჰანსგაბ-თბილისში“ სპეციადუხი მმათვედი დანიშნა. (2009, 3 ივნისი). საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია სემეკი. Retrieved from <https://gnerc.org/ge/media/presrelizebi-akhali-ambebi/12036/12036>.

ტანია, ა. (2022, 22 მარტი). *მოსაზჰება: აფხაზეთი ახად გეოპოლიტიკუხ ჰეადობაში*. JAM-News. Retrieved from <https://jam-news.net/ge/mosazreba-afkhazeti-akhal-geopolitikur-realobashi/>.

ძველიშვილი, ნ., & კუბრეიშვილი, თ. (2015). *რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში*. IDFI. Retrieved from <https://idfi.ge/public/upload/IDFI/russian-capital.pdf>.

ხაშიგი, ი. (2022, 17 აპრილი). *მოსაზჰება: აფხაზეთში ედექტროენეჰიის ფასი გაოჰმაგდება*. JAM-News. Retrieved from <https://jam-news.net/ge/mosazreba-afkhazetshi-eleqtroenergiis-fasi-gaormagdeba/>.

ხელშეკრულება სამხრეთკავკასიური მილსადენის შესახებ. (BP. 2006). Retrieved from [https://www.bp.com/content/dam/bp/country-sites/en\\_az/azerbaijan/home/pdfs/legalagreements/gov-agreements/sha\\_eng\\_hga\\_host\\_government\\_agreement\\_georgia\\_english\\_.pdf](https://www.bp.com/content/dam/bp/country-sites/en_az/azerbaijan/home/pdfs/legalagreements/gov-agreements/sha_eng_hga_host_government_agreement_georgia_english_.pdf).

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG)  
თბილისი 2022